ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის სხდომის

ო ქ მ ი N20

სხდომის ჩატარების დრო:
21 თებერვალი, 2023 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:
რუსთაველის გამზირი N3
ადგილობრივი თვითმმართველობის
შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი.**

ესწრებოდნენ კომისიის წევრები:
მაგდა კოსტავა, მაია სიმონიძე, ჯემალ ბიბილეიშვილი, თეიმურაზ ნადირაძე, ზაქრო მამასახლისი, გრიგოლ შუშანია, კობა გურული.

სულ: 8 წევრი.

არ ესწრებოდნენ: ბესიკ ხამაშურიძე, მამუკა რიჟამაძე, დავით ბახტაძე, ნინო ბიბილეიშვილი, გიორგი კილაძე, ლაშა შალამბერიძე.

სულ: 6 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი **თინათინ ბერიშვილი.**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **გია ბასილაძე,** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველი **ნიკოლოზ ჩეჩელაშვილი,** ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიაში მოწვეული სპეციალისტი **იმედა საღინაძე,** საკრებულოს წევრი **ელეონორა არჩაია,** საია-ს ქუთაისის ფილიალის პროგრამების დირექტორი **ნოდარ ჯიქია.**

სხდომა გახსნა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** და წარმოადგინა სხდომის დღის წესრიგის შემდეგი პროექტი:

1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ზონების საზღვრების აღწერის, ტერიტორიულ ზონებსა და ქვეზონებში მოქცეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საწყისი საპრივატიზაციო საფასურის განსაზღვრის შესახებ“

2. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვარის N65 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

3.„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის N57 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

4. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“.

5. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქეების: დავით რეხვიაშვილისა და გივი რეხვიაშვილისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“.

6. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქეების: მარიზ ტყემალაძის, არსენ ჭოლაძის, გიორგი კორხეიძის, ეთერ ყუფარაძისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადეობა „სთარქი საქართველო სმენის ცენტრისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ბესიკ ხამაშურიძე, მამუკა რიჟამაძე, დავით ბახტაძე, ნინო ბიბილეიშვილი, გიორგი კილაძე, ლაშა შალამბერიძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის პირველი საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ზონების საზღვრების აღწერის, ტერიტორიულ ზონებსა და ქვეზონებში მოქცეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საწყისი საპრივატიზაციო საფასურის განსაზღვრის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე დადგენილების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ქალბატონმა **თ.ბერიშვილმა** აქვე განმარტა: „ტერიტორიულ ზონებსა და ქვეზონების მიხედვით დგინდება მიწის ნორმატიული ფასი, კანონით ვალდებულები ვართ ყოველი წლის თებერვლის თვეში მივიღოთ ეს დადგენილება და ამ ეტაპზე წარმოგიდგენთ შეცვლილ ფასებს, პირველი ზონის პირველი ქვეზონა იყო 250ლარი და გახდა-260, მეორე ქვეზონა იყო 220 და გახდა 230, მესამე ქვეზონა იყო 200 და გახდა 210, მეორე ზონის პირველი ქვეზონა იყო 180 და გახდა 190, მეორე ქვეზონა იყო 150 და გახდა 160, რაც შეეხება მეორე ზონის მესამე ქვეზონას (130ლარი), მესამე ზონის პირველ(90 ლარი), მეორე(70 ლარი), მესამე(55 ლარი) და მეოთხე (25ლარი) ქვეზონებს საფასური უცვლელი დარჩა, ეს ფასი დადგენილია აუდიტორული კომპანია შპს „კომპაუდის“ მიერ მოწოდებული დასკვნის საფუძველზე.“

საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ბესიკ ხამაშურიძე, მამუკა რიჟამაძე, დავით ბახტაძე, ნინო ბიბილეიშვილი, გიორგი კილაძე, ლაშა შალამბერიძე.

ღია კენჭისყრით, (მომხრე-7 წევრი, თავი შეიკავა ბატონმა გრიგოლ შუშანიამ) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს დადგენილების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ზონების საზღვრების აღწერის, ტერიტორიულ ზონებსა

და ქვეზონებში მოქცეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საწყისი საპრივატიზაციო საფასურის განსაზღვრის შესახებ“

მუხლი 2. დღის წესრიგის პირველ საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეორე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვარის N65 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე დადგენილების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის - პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ქალბატონმა **თ.ბერიშვილმა** აქვე განმარტა: „ცვლილება ეხება განწილვადების წესს, საკრებულოს დადგენილებით შესაძლოა აუქციონში ჩაიდოს განწილვადების წესი, თუმცა გვქონდა დამატებითი შეზღუდვა, ეს განწილვადების წესი გამოიყენებოდა მხოლოდ მაშინ, თუ სასტუმროს მშენებლობა დაევალდებულებოდა მიწის ნაკვეთის შემძენს, ახლა კი ამ ჩანაწერს ვაუქმებთ.“

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

კომისიის წევრი, ბატონი **კობა გურული:** „რაიმე შენატანი არის წინასწარ განსაზღვრული?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, ქალბატონი **თინათინ ბერიშვილი:** „თანხის 30% ბეს სახით იქნება გადახდილი, დარჩენილი თანხის 50% 30 დღის განმავლობაში უნდა იქნეს შეტანილი და დანარჩენი თანხა გადანაწილდება ორ წელზე.“

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „ზემოაღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ ყველა აუქციონი განწილვადების წესით უნდა შემოვიდეს, უბრალოდ კონკრეტული ჩამკეტი მოიხსნა.“

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ბესიკ ხამაშურიძე, მამუკა რიჟამაძე, დავით ბახტაძე, ნინო ბიბილეიშვილი, გიორგი კილაძე, ლაშა შალამბერიძე.

ღია კენჭისყრით, (მომხრე-7 წევრი, თავი შეიკავა ბატონმა გრიგოლ შუშანიამ) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს დადგენილების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვარის N65 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

მუხლი 2. დღის წესრიგის მეორე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მესამე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის N57 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ქალბატონმა **თ.ბერიშვილმა** აქვე განმარტა: „ცვლილება ეხება ბარათაშვილზე არსებულ ფსიქიატრიულ შენობას, მოგეხსენებათ სამჯერ იყო გატანილი აუქციონზე და არ შედგა ეს აუქციონი, ახლა შემოდის 2 წლიანი განწილვადების პირობით, ღირებულება შეადგენს 1100 000 ლარს, 1659 კვადრატული მეტრის ფართობია შენობა-ნაგებობა, ხოლო 2849 კვადრატია მიწის ფართობი."

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

კომისიის წევრი, ბატონი **თეიმურაზ ნადირაძე:** „რამდენად იყო გატანილი აუქციონზე მანამდე?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, ქალბატონი **თინათინ ბერიშვილი:** „თავდაპირველად იყო 1400 000 ლარად, ხანძრის შემდეგ მოხდა სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს მიერ ხელახლა შეფასება და შეფასდა 1 100 000 ლარად და ახლაც ამ ფასად არის წარმოდგენილი."

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ბესიკ ხამაშურიძე, მამუკა რიჟამაძე, დავით ბახტაძე, ნინო ბიბილეიშვილი, გიორგი კილაძე, ლაშა შალამბერიძე.

ღია კენჭისყრით, (მომხრე-7 წევრი, თავი შეიკავა ბატონმა გრიგოლ შუშანიამ) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის N57 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ"

მუხლი 2. დღის წესრიგის მესამე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეოთხე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ქალბატონმა **თ.ბერიშვილმა** აქვე განმარტა: „საუბარია ახალგაზრდობის გამზირის მარჯვენა მხარეს მდებარე მიწის ნაკვეთის, 10 წლის ვადით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე, ავტოსადგომის მოწყობის მიზნით, წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 14956 ლარს, მოიჯარეს ეკისრება ვალდებულება აღნიშნული ფართობის ნაწილის, კერძოდ, 2000 კვადრატული მეტრი ფართობის მიწის ნაკვეთის განაშენიანება, კეთილმოწყობა, მწვანე ნარგავების განახლება, ძელ-სკამების, ნაგვის ურნებისა და განათების მონტაჟი ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი წლის განმავლობაში და მოვლა-პატრონობა ხელშეკრულების მოქმედების ვადაში.“

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

კომისიის წევრი, ბატონი **ჯემალ ბიბილეიშვილი:** „ეს საკითხი წინა სხდომაზე გადავდეთ უკეთ შესაწავლის მიზნით, როგორც ვიცით იქ კეთდება პარკი და ველობილიკი, აღმოჩნდა, რომ ეს ადგილი აღნიშნულ პროექტს ხელს არ უშლის.“

კომისიის წევრი, ბატონი **თეიმურაზ ნადირაძე:** „ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევით ცენტრს სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის ესაჭიროება საპარკინგე ადგილი და ვფიქრობ მხარდასაჭერია.“

კომისიის წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია:** „მხოლოდ ამ საკითხს არ ეხება, ერთი წინადადება მაქვს, ხომ არ დავამკვიდროთ წესი, როდესაც რაიმე ფართს გავცემთ იჯარით, სადაც ვალდებულება აქვთ კეთილმოწყობის და განაშენიანების, წინასწარ გაიაროს არქიტექტურასთან და შეთანხმებული იერსახე ან ვიზუალური მხარე წარმოგვიდგინონ, მესმის, რომ ჩვენი თანხმობის გარეშე პროექტს ვერ წარმოადგენენ, რადგან დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული, თუმცა ესკიზის სახით იქნებ შეძლონ გაგვაცნონ, შემდგომში გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და

ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, ქალბატონი **თინათინ ბერიშვილი:** „თქვენი თანხმობის შემდეგ შეათანხმებენ პროექტს არქიტექტურასთან.“

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „სიტუაცია შემდეგში მდგომარეობს, ონკოლოგიის ცენტრი აშენებულია და დაიწყებს ფუნქციონირებას, მას ყველა შემთხვევაში დასჭირდება საპარკინგე ადგილი და გამოიყენებს არაოფიციალურად, ამ შემთხვევაში კი ქალაქის ბიუჯეტში შემოვა თანხა და დამატებით კეთილმოაწყობს ამ ფართს.“

კომისიის წევრი, ქალბატონი **მაია სიმონიძე:** „საკითხს მხარს დავუჭერ თუ გვექნება საშუალება გავეცნოთ წინასწარ პროექტის მაკეტს.“

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ბატონი **გია ბასილაძე:** „ვეთანხმები მოსაზრებას, რომ წარმოადგინოს წინასწარი მაკეტი, რათა არ იყოს შემდეგ გაუგებრობები და უსიამოვნებები.“

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ბესიკ ხამაშურიძე, მამუკა რიჟამაძე, დავით ბახტაძე, ნინო ბიბილეიშვილი, გიორგი კილაძე, ლაშა შალამბერიძე.

გამოცხადდა კენჭისყრის შედეგები: მომხრე-2 წევრი, წინააღმდეგი-6 წევრი.

სიტყვა ითხოვა კომისიის წევრმა, ბატონმა **თეიმურაზ ნადირაძემ:** „საკითხთან დაკავშირებით თუ არ იქნება ჩვენი თანხმობა, წინასწარ პროექტს და მაკეტს ვერ წარმოადგენს აღნიშნული პიროვნება, საუბარია ონკოლოგიის ცენტრზე, პროფესორი მარდალეიშვილი უმლიერესი ყბა-სახის ონკოლოგი რეგიონში და სხვა მაღალკვალიფიციური პერსონალი, რომელთაც უნდათ ამ კუთხით განვითარდეს ქალაქში სამედიცინო მომსახურეობა, ჩემი სუბიექტური აზრია, რომ უხერხულია მეორედ ამ საკითხზე თავის შეკავება, პირიქით, ვფიქრობ ხელშეწყობა ესაჭიროება, რათა სრულყოფილად განახორციელოს პროექტი, სჭირდება ეზო, სადგომი, სანიტარული ნორმები დაცული უნდა იყოს და ამის საშუალება თუ არ მივეცით, ვფიქრობ უხერხულობას შევქმნით, შემოვდივარ წინადადებით კენჭისყრის ხელახლა გამართვის თაობაზე.“

კომისიის წევრი, ქალბატონი **მაია სიმონიძე:** „გამოვთქვამ თანხმობას, ერთი კვირის განმავლობაში გვაჩვენოს იმ ტერიტორიის რენდერი, რომლის კეთილმოწყობასაც აპირებს.“

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან

დაკავშირებით ხელახლა გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ბესიკ ხამაშურიძე, მამუკა რიჟამაძე, დავით ბახტაძე, ნინო ბიბილეიშვილი, გიორგი კილაძე, ლაშა შალამბერიძე.

ღია კენჭისყრით, (მომხრე-7 წევრი, წინააღმდეგი ბატონი გრიგოლ შუშანია) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს :**

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრისათვის" სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"

მუხლი 2. დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეხუთე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქეების: დავით რეხვიაშვილისა და გივი რეხვიაშვილისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეხუთე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ბესიკ ხამაშურიძე, მამუკა რიჟამაძე, დავით ბახტაძე, ნინო ბიბილეიშვილი, გიორგი კილაძე, ლაშა შალამბერიძე.

ღია კენჭისყრით, (მომხრე-7 წევრი, თავი შეიკავა ბატონმა გრიგოლ შუშანიამ) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს :**

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქეების: დავით რეხვიაშვილისა და გივი რეხვიაშვილისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“

მუხლი 2. დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეექვსე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქეების: მარიზ ტყემალაძის, არსენ ჭოლაძის, გიორგი კორხეიძის, ეთერ ყუფარაძისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადეობა „სთარქი საქართველო სმენის ცენტრისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ქალბატონმა **თ.ბერიშვილმა** აქვე აღნიშნა: „კიბის უჯრედების მოწყობის მიზნით, მოთხოვნილია ფართების იჯარის გადაცემა, სულ გვაქვს ხუთი მისამართი, ესენია, ავტომშენებლის გამზირი N9, ჭავჭავაძის გამზირი N44, ზ.გამსახურდიას გამზირი N11, რუსთაველის გამზირი N112, აღმაშენებლის გამზირი N29.“

საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეექვსე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ბესიკ ხამაშურიძე, მამუკა რიჟამაძე, დავით ბახტაძე, ნინო ბიბილეიშვილი, გიორგი კილაძე, ლაშა შალამბერიძე.

ღია კენჭისყრით, (მომხრე-7 წევრი, თავი შეიკავა ბატონმა გრიგოლ შუშანიამ) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქეების: მარიზ ტყემალაძის, არსენ ჭოლაძის, გიორგი კორხეიძის, ეთერ ყუფარაძისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადეობა „სთარქი საქართველო სმენის ცენტრისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“

მუხლი 2. დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

ამით, ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და
საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე
ამირან კოპალეიშვილი